


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარე შე-  
მცნოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвнa“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცადვე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კ.ჰიკია.



ბამონის ყოველ-ღვე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრულყოფილად გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 კ. რედაქციაში  
წიგნისა ითვლება მათგან დაქვრივნი სტრიქონის  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამო-  
წესებს დასაბუთებულ გამოცხადებულ წერილებს. დაუბუღებელ წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцлѣ., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის  
დამლევამდე 4 მან. და 50 კაბ.; სოფლის მასწავლე-  
ბელთათვის 3 მან. და 50 კაბ.**

### შემოდგომის მოლოდინი

თბილისი, აგვისტოს 10-ს.

რა ამბავია უცხოეთში? რას ლაპა-  
რაკობენ გაზეთები? ინგლისი რას აპი-  
რობს? ამისთანა კითხვებს ხშირად  
გაიგონებს კაცი იმათთანა, რომ-  
მელთაც თავის დღეში პოლიტიკაზედ  
არ უფიქრიათ, მაგრამ გაზეთები ამ  
საინტერესო საგანზედ პასუხს არას  
იძლევიან და ცნობის-მოყვარობით  
წაქეზებული მკითხველი სრულიად  
უპასუხობდა რჩება. მას ვერ დაუჯე-  
რია, რომ რაღაც უმნიშვნელო ზულ-  
ფიგარზედ იქოს მიმდგარი საქმე და  
ამ უცნობ და მივარდნილ ქვეყნის  
კუნძულზედ ეკიდოს მოქმედება ორის  
ძლიერის სახელმწიფოსი. მინ წარ-  
მოიდგენს, მართლაც რომ ზულფიგა-  
რი ა-ნსა და ჯ-ეს შეადგენდეს ან ერ-  
თის მხრისა, ან მეორისათვის? მინ  
დაიჯერებს რომ ამ პატარა ხეობის  
დაწერილებითი რუკის შედგენასთან  
ჰქონდეს რაიმე კავშირი ხსენებული  
მსოფლიო საქმის გადაწყვეტას. ინგ-  
ლისი მხოლოდ იმასა ცდილობს დრო  
და ჟამი მოიგოს მომავალ ნოემბრის

არჩევნებამდის, როდესაც კონსერვა-  
ტიული კაბინეტის ბედი გადაწყდება  
და ამ ვადამდის გაფაციცებით ეძებს  
მოკავშირეთ იქაც კი, სადაც ეს სრუ-  
ლიად წარმოუდგენელია. იგი ეძებს  
მოკავშირეთ ჩინეთში, ოსმალეთში,  
ბერმანიაში. მართან საქმე საქმეზედ  
მოუყვანია თავის გაიძვრა აგენტების  
შემწევობით, მეორე ქვეყანას—ოსმა-  
ლეთს—ნელ-ნელა თავისკენ იბირებს,  
თუმცა ეს გადაბირება იქნება მეგობ-  
რისაგან სრულიად ხელის აღებად  
დაუჯდეს, და ბისმარკსაც თვალს უშე-  
ბა და თითქო ანიშნებს—გარეეთ  
თუნდ ნუ გაერევი, ოლონდ ოსმა-  
ლეთს ხელი შეუშვი და ნება მიეც  
ჩემს ნებაზედ დავიყოლიო.

სრული ყურადღება ინგლისის სა-  
მინისტროსი ეხლა სამ საგანზედ არის  
მიქცეული: მინ ამორჩევნებზედ გაი-  
მარჯვოს, ინგლისი კარგად შეეიარა-  
ლოს და ისეთი მოკავშირეები მოი-  
პოვოს, რომელთაც ის მისცენ ინგ-  
ლისს, რაც მას აკლია—ჯარი; და ის  
გამოართვან, რასაც იგი ამისთანა მძიმე  
საქმისათვის არ დაზოგავს, ესე იგი,  
ფული.

ამ მხრივ შესანიშნავია, სალისბიუ-  
რის კაბინეტის პოლიტიკა. ბლადსტო-

ნის კაბინეთი ორ წყალ-შუა იყო მოქ-  
ცეული: მისს მოთავეს ეზიზღებოდა  
ომი და ღიდ უბედურებადაც მიანდა,  
მაგრამ გარემოება ხშირად იმისთანა  
მდგომარეობაში აყენებდა, რომ შეუძ-  
ლებელი იყო ქადილითა და მუქარით  
პარლამენტის გული არ მოეგო; ამ  
გვარად მისი პოლიტიკა ორპირული  
გამოდირდა სალისბიური კი არა მა-  
ლაეს თავის განზრახვას და წადილს.  
მს განზრახვა და წადილი ომია და  
ამიტომაც ცდილობს იგი, როგორც  
შინ შეიარაღდეს, ისე გარეთ კავში-  
რები შექერას და ამორჩევნების შემ-  
დეგ, თუ ბედმა გაუღიმა, ყოველის  
მხრივ განმზადებული იყოს.

მაგრამ რაღა ჰგონია სალისბიურის  
რომ სხვანი კი ბრმანი იყენენ და ვე-  
რა ჰხედდენ მისს განზრახულებას!  
თუ ბლადსტონის მშვიდობის სიყვა-  
რული ყველას სჯეროდა, ყველას  
სჯერა აგრეთვე, რომ სალისბიური  
ამ გრძობას ღიდის სიამონებით უარ-  
ჰყოფს, თუ ინგლისი კვერს დაუკრავს  
და გარედაც წინ მოულოდნელი და-  
ბრკოლება არა დახედება-რა.

### შინაური ქორნიკა

ბეგრ ხუთი თვე მტკიცა, რაც,  
რაღაც უცნაური დაბრკოლებებით,  
იბეჭდება ახალი გამოცემა «ბუნების  
კარისა». წიგნი მაინცა-და-მაინც ამ

ამ წერილს, მე მაშინვე თავს მოვიკ-  
ლაე. რათა? რისთვის? ვეცდები გან-  
მარტო ეს ამბავი იმათთვის კი არა,  
ვინც ამ წერილს წაიკითხვენ, არამედ  
ჩემთვის, ჩემის შემკრთალი გულის  
გასამხნეებლად, ჩემის განზრახვის ასა-  
წონ-დასაწონად.

«მე გამზარდეს გაუნათლებელმა მშო-  
ბლებმა, რომელთაც ყოველისფერი  
სწამდათ, და მეც, როგორც მათ,  
ყოველისფერი მწამდა.

«ჩემი სიზმარი ღიდხანს გაგრძელდა.  
მხოლოდ ბოლოს დროს შეწყდა.

«აი ეს რამდენიმე წელიწადია, რაც  
მე რაღაც არა-ჩვეულებრივი რამ მე-  
მართება.

«ყოველივე ცხოვრების შემთხვევა  
ნი, როდისღაც ჩემ თვალ-წინ ცის  
კარივით მბრწყინავენი, ეხლა უფერუ-  
ლად მჩვენებია.

«შემთხვევათა მნიშვნელობა მე წარ-  
მომიდგა თვალ-წინ თავის მკაცრის  
სინამდვილით; და სიყვარულის ნამ-  
დვილმა აზრმა თვით პოეტური სინა-  
ზეც კი შემაძულა. ჩვენ მხოლოდ  
ტიკინები ვართ ჩვენის ოცნებისა.

«სიბერის დროს მე ვიგრძენ ჩემი

თვის გასულისათვის მზად იქნება. მს  
გამოაცემა, სხვათა ცვლილებათა შო-  
რის, იპყრობს ახალს ისტორიულ გან-  
ყოფილებას, რომელიც შესდგება წარ-  
ჩინებული პირების მონოგრაფიები-  
გან მონოგრაფიები დაწერილია თვით  
შემდგენისაგან. წიგნი ბევრად ღიდა  
წინა-გამოცემაზედ, იპყრობს ხუთას-  
ზედ მეტს გვერდსა და ელირება უწინ-  
დელ ფასად.

ბეგრას, აგვისტოს 18-ს, სუ-  
რამში აპრობენ წარმოდგენას «წე-  
რა-კითხვის საზოგადოების» სასარგებ-  
ლოდ. წარმოდგენაში, როგორც გვაც-  
ნობებენ, მონაწილეობას მიიღებენ  
ჩვენი ცნობილი არტისტები ნ. ბაბუ-  
ნია—საგარლისა და მ. შიფინი სწო-  
რედ აღარა ხუმრობს სურამი და ნიშნს  
უგებს ბორჯომს, აბასთუმანს და სხვა  
საზაფხულო ადგილებს, რომელნიც  
ყურსაც არ იბერტყენ ამ გვარ სასარ-  
გებლო საქმისათვის.

ბეგრას «ნოვოე ობოზრენიეში»  
მოყვანილია საინტერესო ბასი ქალა-  
ქის საკრედიტო საზოგადოების მმარ-  
ველის თ. ნაპოლონ ამატუნისა და  
ქალაქში მცხოვრებ ერთ-ერთ მალაკ-  
ნის შორის. რადგანაც მალაკნები ქა-  
ლაქის საკრედიტო საზოგადოებას არ  
ენდობიან, ამისათვის მთავრობას  
სთხოვეს, რომ მათი მამულები ისევე  
პრიკაზში დარჩენ დაგირავებულნი იმ  
პირობით კი, რომ ვალის გადასახდე-  
ლად 26 წელიწადი ვადა მიეცეთ.

არსებობის ამოცემა, სიცოცხლის უნა-  
ყოფობა, ტყუილი მოლოდინი, და  
უეცრად, ღდეს საღილს შემდეგ, უფ-  
რო გამიცხოვლდა ეს უიმისოდაც სა-  
ზარელი ფიქრები.

«როდისღაც მე კმაყოფილი ვიყავ!  
ქოველისფერს აღტაცებაში მოყვადი:  
გამეღელ-გამომღელ ქალებს, და იმ  
ადგილს, სადაც მე ეცხოვრობდი;  
მაგრამ ერთი და იგივე სურათი ბო-  
ლოს მომბეზრდა როგორც ერთი და  
იგივე წარმოდგენა მომბეზრდება ხოლმე  
კაცს.

«ბი ოცდა ათი წელიწადია, რაც  
მე ყოველ-ღვე ერთსა და იმავე დრო-  
სა ვდგები; ოცდა ათი წელიწადია,  
რაც ერთსა და იმავე სასტუმროში  
ერთს დროს ვქამ სულ ერთნაირ საქ-  
მელს, მხოლოდ სხვა-და-სხვა ლაქიას  
კი მოაქვს.

«მე მოგზაურობაც ვცადე. მარტო-  
ობა, რომელსაც გრძობს ხოლმე კა-  
ცი უცნობ ადგილებში, ყოველთვის  
მაშინებდა. ჩემს თავს ისეთ გამარ-  
ტოებულ კაცადა ვსთვლიდი დედამი-  
წის ზურგზედ, ისეთს უვარგისად,  
რომ საუკეთესოდ ვრაცხდი მალე

### თავის მოკვლა

მთარობა

გიუ-დე-მოპასანისა.

მართი ღდევ არ გავა ისე, რომ გა-  
ზეთების კითხვის დროს სხვა-და-სხვა  
შემთხვევათა შორის ამისთანა შემ-  
თხვევაც არ ამოიკითხოთ:


«მთნშაბათს ღამეს, ამა-და-ამ სახ-  
ლის მცხოვრებნი № 40, ქუჩა 11,  
დააფეთიანა ორჯელ ერთმანეთზედ  
გასროლილმა დამბაჩის ხმამ. ხმაუ-  
რობა იმ სახლიდამ გამოდიოდა, რომ-  
მელიც მ. ხ. ეჭირა. ძარები გააღეს  
და იქ მცხოვრები იპოვეს მთლად  
სისხლში მოსერილი და ის დამბაჩაც  
ხელში ეჭირა, რომლითაც თავი მოეკ-  
ლა.

«მ. ხ ორმოც-და-შვიდი წლისა  
იყო. მას ყველა დარბაისელ კაცად  
იცნობდა და ყოველისფრითაც ისე  
სრული იყო, რომ შეეძლო ბედნიე-  
რი კაცი ყოფილიყო. მიზეზი მკვლე-  
ლობისა არაინ იცის».

რა ნაირი ღრმა ტანჯვა, რა ნაი-  
რი გულის ტკივილი, მიადწევინებს  
ხოლმე ამისთანა «ბედნიერს» ხალხს  
თავის მკვლელობამდის? ბამოიკვლე-  
ვენ, წარმოდგენენ საარსიყო დრა-  
მებს, ეჭვი შეაქეთ—ხომ არ გაკოტრ-  
დაო და როდესაც სინამდვილეს ვერ  
აღმოაჩენენ, მაშინ ჩვეულებრივ იტყ-  
ვიან ხოლმე: «საიდუმლოებაო.»

ამას წინად ჩვენ ერთი «უმიზეზო  
თავის მკვლელის» წერილი ჩაგვივარ-  
და ხელში, რომელიც ეპოვეთ სტოლ-  
ზედ და დაწერილი იყო უკანასკნელ  
ღამეს, გატენილი დამბაჩის ახლო.  
ჩვენ ის საინტერესოთ მიგვაჩნია. იგი  
თუმცა ისეთს შესანიშნავ მიზეზებს  
არ გვიჩვენებს, რომელსაც ეძებს ხოლ-  
მე კაცი ამისთანა შემთხვევის შემდეგ,  
მაგრამ იგი მაინც გვიჩვენებს დავიწყე-  
ბული ქმნილების ცხოვრების სიწერილ-  
მანეს, რომლის იდეალი ირღვევა.  
იგი ჰფენს სინათლეს ამისთანა ტრა-  
გიკულ სიკვდილს, რომელიც მხო-  
ლოდ მგრძობიარე ადამიანისთვის  
არის ცხადი

«აი ის წერილი:  
«შუალამეა. როგორც კი მოვრჩები



მთავრობისადმი მირთმეულს არააში მალაქნები ამბობენ, რომ გვემინიან ქალაქის ბანკში მამულების დაგირავებისა იმისთვისა, რომ მამულებს დიდ ფასად აფასებენ და ფულის გატანის დროს დამგირავებლებს დიდს დასაფასებელს ფულს ართმევენო მალაქნების ეს აზრი არ მოსწონებია ბანკის გამგებელს თ. ამატუნს და სახელმწიფო ბანკის განყოფილების სადგომში შემდეგი სტენა მომხდარა:

— თქვენ როგორ ბედავთ არააში მაგისტანა სიტუაციის წერას? თქვეა მრისხანედ თ. ნაპოლონ ამატუნს ერთის მალაქნისათვის.

— უკაცრავად, თქვენო აღმატებულებავ, — ბავში ყოველთვის იმ ძუძუსკენ მიიწევს, რომელმაც გაზარდა; ჩვენ ხაზინამ მოგვცა ფული და გვინდა ისევე ხაზინის მოვალენი ვიყოთო. ჩვენ გაუნათლებელი ხალხი ვართ, თქვენი ბანკისა არაფერი ვიცით და ან თქვენ თვითონ ვინა ბძანდებით... უკაცრავად კი თქვენო აღმატებულებავ

— მერე იცით კი სახლები როგორ ფასდებიან? ჰკითხა თ. ამატუნმა.

— უდი ხმები კი დადის... — მიუგო მალაქანმა. ხალხი ამბობს, რომ თქვენვე თქვენთვის ჯამაგირებს იმატებთო. ჩვენ არ გვინდა თქვენს ბანკთან საქმე ვიქონიოთ.

ლაპარაკი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ამატუნმა მაინც ვერ დაარწმუნა მალაქანი, რომ მისი ბანკი კარგი რამ არის. უმალდეს მთავრობას მალაქნების თხოვნისთვის უკრადლება მიუტკეცვია და ამ საქმეში თვით დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზისძე იღებს მონაწილეობას.

== მილიონის პირველი გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ შეგირდების მისაღები ვგზამენები დაიწყება აგვისტოს 23-ს, 24-ს და 26-ს.

დავბრუნებულიყავ ჩემს სამშობლოში.

მაგრამ მაშინ ჩემი მებელის ნახვამ, რომელიც ოცდა ათი წელიწადი ერთ ადგილას უძრავად ელაგა, ჩემი ხელების სიძველემ, რომელნიც ერთ დროს ახლები იყვნენ და ჩემი სადგურის სუნმა, (ყველა გამოკეტილ სახლში რამდენიმე ხნის განმავლობაში სუნნი დგება) საშინლად შემაძულეს აშინარი ცხოვრება.

შოველისფერი დაუბრკოლებლად და საძაგლად იმეორება. მით გასაღების გაცეობა კარებში, სპიჩის აღება ერთისა და იმავე ადგილიდამ, ერთი ჩემი სახლის დანახვა სპიჩის ანთების დროს, ყოველივე ესენი აღვიძებენ ჩემში სურვილს, რომ გადავვარდე ფანჯრიდამ და ამითი მოეულო ბოლო ამ ერთ ნაირად მიმდინარე ცხოვრებას, რომლისგანაც თავი ვერ დამიღწევია.

შოველ დღე, პირის პარსვის დროს, საშინელი სურვილი მომიკა ხოლმე ყელის გამოჭრისა, და ჩემი სახე რომელსაც ეხედამ პატარა სარკეში ყბაზედ-საპონ-წასმულს, ხშირად ტი-

== ბავშვთს «აგვისტოს» აცნობებენ შოთილამ, რომ იელისის 31-დამ საშინელი ქარიშხლის გამო წასასვლელად დანიშნული გემები ვერ წავიდნენ ვერც აგვისტოს 1-ს, ვერც 2-ს და ვერც 3-ს

„დროების“ კორესპონდენციები

ბათუმში, აგვისტოს 2-ს. ჩვენი საქართველოს სხვა-და სხვა კუთხეებში მუდმივი საჩივრები მოსდის «დროებს» მეტის-მეტს გვაღვაწე. ამ დღეებში ბათუმის მაზრაში-კი ორი დღე ნახევარი ისეთი დიდი წვიმა იყო, რომ ამგვარი წვიმა არავის ახსოვს. წვიმასთან ერთად საშინელი ქარი იყო აღმოსავლეთისა. ძნელად გადაჩა ამ წვიმას კრამიტისა სახლები, რომ წვეთი არ ჩამოსულიყო. სარდაფები აიქრო წყლით — ქუჩებში ფეხით სიარული შესწყდა ნიაღვრების გამო. მალაქანმა ღმერთსა, რომ ორი დღის მეტი არ გასტანა წვიმამ, თორემ «ცა ჩამოგვეტყვოდა თავზე». ძახხბერი, ეს სალარო ბათუმის მიდამოსი, განადგურა ამ საშინელო წვიმამ, სიმინდები სულ ძირს დასცა.

ამ ბუნების მოვლენამ ზარალთან ორი სიკეთეც უყო საზოგადოებას: ბათუმში ზღვის პირზე, ნავთ სადგურის ახლოს, შენდება დიდი სახლი დამოკნისთვის მს შენობა თითქმის თავამდის იყო აყვანილი, მალე დახურავდნენ კიდევ, მაგრამ იმ დიდ წვიმაში იგრიალა და ჩამოწვა. მტყობა ეს შენობა «ბეგრულად» ყოფილა აშენებული. თუ წვიმა არა ყოფილიყო, უეჭველია, ამ შენობაში როდისმე უბედურება მოხდებოდა, ჩამოიქცოდა და შიგ მოიტანდა ხალხს.

პეტერბურგელმა შემამაწმებელმა კომისიამ მოიწონა რკინის გზის ლიან-

რილს მომგვრის ხოლმე. მითქმის ეხლა იმ ხალხთან ყოფნა აღარ შეიძლიან, რომელსაც ერთ დროს სიამოვნებით ვეგებებოდი. რაც უფრო კარგად გავიცნობ მათ, იმდენი უფრო ვიცი, რასაც იგინი მეტყვიან და რასაც მე ვეტყვი. ყველას თავი ცირკსა ჰგავს, სადაც გაუწყვეტილ ტრიალებს საცოდავი დამწყვედული ცხენი. როგორც უნდა იყოს ჩვენი მეცადინეობა, ჩვენი გულის წადილი, ყველას მაინც თავის სამზღვარი აქვს, იტრიალებს წესისამებრ და დაწყნარდება. სინამ კი სულ ტრიალობს, ტრიალობს დაუყოვნებლივ! ისევე ის იდეა, ის სიხარული, ის ხუმრობა, ისევე ის ჩვეულებანი, ისევე ის რწმუნება და სისაძაგლე.

«დღეს სალამოს საშინელი ბურუსია. მან თითქმის მთელი ბულვარი მოჭფინა, სადაც გზის მიღები შებოლილ სანთლებსა ჰგვანან. გული თან-და-თან უფრო მენმუტუნებოდა. უსათუოდ ჩემს კუჭს საკმელი კარგად ვერ მოუნელებია — საკმლის კარგად მონელება წუთი-სოფელში შოველისფერს შეადგენს. მას მოჰყავს კაცი აღტაცებაში,

დაგი სამტრელიდამ ბათუმამდის. მოიწონა და გათავდა — გაიხსნა მოძრაობა. მინც იცოდა ამ ლიანდაგის გარემოება, ყველას გული ეთანადებოდა, რაღაც შიში ჰქონდა, და ძალა-უნებურად მოგზაურობის დროს კუჭუჭის კატასტროფა აგონდებოდა. დღეს ბუნებამ ამ გზების დასათვარიელებლად მოგვივლინა თვისი სტიქიონი — წვიმა, რომელმაც ლიანდაგს გამოაცალა ქვემიდგან მიხუზულავებული მიწა, ხეები და ზღვას მისცა; დარჩა მხოლოდ რკინები. თუ არ ეს წვიმა, იქნება ისეთი უბედურება რამ მომხდარიყო ამ გზაზე, რომელიც ზვეით ნათქვამს უბედურებას მოგვაგონებდა. თუმცა კიდევ საშიშია, მაგრამ ძიელ დაზიანებული ადგილები ხომ წალეკა წვიმამ! აი რა სიკეთე გვიყო ამ ბუნების მოვლენამ. დღეს გზებ-შეკრული ბათუმის მაზრა დროებით მოსწყდა საქართველოს. მოსწყდა იმით, რომ ბათუმიდგან შოთში სიარული მხოლოდ ერთი ორთქლით მატარებლით შეიძლება; ამ ორთქლით მატარებელს «ბაბუშკას» ეძახიან, რომელიც ფთა-მოტეხილი ბატვით შევა ზღვაში, იღანლალებს, იღანლალებს და ისევე უკანვე დაბრუნდება. თუ ზღვა ცოტათი მაინც ღელავს, «ბაბუშკას» სიარული არ შეუძლიან.

ჩვენ, პროვინციელები, ვისურვებთ ნაყოფიერს აღორძინებას და დღევრძელობას ახლად დაბადებული პერიოდული გამოცემის «თეატრისთვის», მაგრამ ეს კი ვერაფრად გვეკაშიკა, რომ პირველსავე გამოვლავზე ისარი შინაურს მიმართა, დაივიწყა რა ანდაზა «მორეულს დაეშურე, შინაური სად წავივო». არც ის გვეკაშიკა, სწორე გითხრათ, რომ ახალ რედაქციას იმისთანა დაწესებულებანი, როგორც ბანკი და «მეცნიერების გამავრცელებელი საზოგადოება», არ მოსწონს. მაინც მრავალ ქამიერ

არტისტს სიყვარულს უღვიძებს, მეცნიერს ბრწყინვალე აზრებს და მთელს ქვეყანას ამხიარულებს. იგი, სხვა რომ არა იყოს-რა, კამის მადას გვიღვიძებს (რომელიც დიდ ბედნიერებად უნდა ჩათვალავს); სწული კუჭი ადამიანს ურწმუნოთ ხდის, საზარელს ფიქრებს აგონობინებს და სიკვდილს ანატრებინებს. ამას მე ხშირად ვამხნევდი; იქნება მე კიდევაც მეცხოვრა, ჩემ კუჭს რომ დღეს სალამოს კარგად მოენელა საკმელი.

«მე იმ სელზედ ვიჯექი, რომელზედაც ოცდა-ათი წელიწადია ვჯდები, დაიწყე ჩემს გარშემო დათვარიელება და ვეგრძენ როგორ შეიპყრო ჩემი გული მკმუნვარებას, რომელსაც სიგიჟემდის მიყავდი.

«მე მინდოდა ისეთი რამ მომემკმენა, რომ განვთავისუფლებულიყავი ჩემი თავისაგან? შოველივე საქმიანობა უფრო მაძულებდა სიცოცხლეს, სინამ თვითონ უსაქმობა; მაშინ მომამგონდა ჩემი ქალაღდების დაღაგება.

«დიდი ხანია, რაც უჯრების დაღაგებას ვემზადები. ოცდა-ათი წლის

«თეატრს» იქნება ფიქრად დაწესებული ლობის ნაცვლად სტენა-სტენა რამ დაგვიწესოს.


ს.ო.ვ. მალარო, აგვისტოს 5. ძვირას, კათათვის 27, მალაროსა და ნუკრიანს ახლო, ზოგოსანში მოხდა საშინელი მკვლელობა: ნუკრიანელმა ნიკოლოზ მლისბარაშვილმა მოჰკლა მალაროელი თეიმურაზ მაისურაძე აი საქმე როგორ იყო: კვირა დღით მალაროს მამასახლისმა გაუფანჯრა კაცი ნუკრიანის მამასახლისს, ახალ წყალზედ წყლის გამოამყვანელებისათვის ფულის გადასახდელად, რადგანაც სხენებული წყაროთი ნუკრიანელებიც ისევე სარგებლობენ, როგორც თვით მალაროელები. მოვიდა დაბარებული მამასახლისი რამოდენიმე სოფელეებით, ილაპარაკეს, იყაყნეს, აიღეს, დაიღეს თავიანთი საზოგადო საქმე და როდესაც კეთილად დაბოლავეს, მაშინ ერთი ნუკრიანელი წამოადგა და მეორეს უთხრა: «მათეურაშვილო, გვეყო ამდენი ყაყანი, ახლა საქონელი გამოვლავლოთო.» უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ერთ-ერთს მათეურაშვილზედ ძალიან ცუდი ხმები დადიოდა, მალაროელ ქალებს კორებით სახელს უტყენსო. ამ გვარის სხენებაზედ მალაროელი მკვდელიშვილი ფიცხლავ მოტრიალდა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა მათეურაშვილს და ასე მიმართა: «მამა-ჩემი არ წამიწყდება, თუ კიდევ გაგიბედნია ჩვენი დედა-კაცების ლანძღვა, არ ვიცი რას გიზამო!..» მეორე მალაროელმა თეიმურაზ მაისურაძემაც თავისი მეზობლის მაგინებლისათვის არ დაიშურა ერთი ხელ-მარჯვე სილა. მაგრამ სილა-ნაკრავი ნუკრიანელი გლეხი არ გამოდგა ის ყოველად გაფუჭებული და გარყვნილი მათეურაშვილი, რომელზედაც ასე გაჯავრებულნი იყვნენ მალა-

განმავლობაში ჩემი წერილები, როგორც მომხვედრია, ისე მიმიყრია. ბაკვირეელი არ არის, რომ ასეთი არეულ-დარეულობა უკმაყოფილოდ მხდოდა, მაგრამ ისეთს ფიზიკურს და ზნეობითს დალილობას ვგრძნობდი, როდესაც კი განვიძრახავდი დალაგებას, რომ მაშინვე უარს ვყოფდი ხოლმე ჩემს განზრახვას.

«მსრედ, მე დავჯექი ჩემი საწერი სტოლის წინ, გავლე იგი, რომ ვაღამერჩია ჩემი ქალაღდები და მომეტებული ნაწილი დამეხია.

«ჯერ რაღაცა მკმუნვარებას შეიპყრო ჩემი არსება ამ ჩაყვითლებული ქალაღდების დანახვაზედ და შემდეგ ავიღე ერთი ქალაღდი.

«ოხ! თქვენს დღეში ნუ მიეკარებით ამისთანა ძველს წერილებს, ამ წარსული მიწერ-მოწერის სასაფლავს, თუ რომ გინდათ თქვენი თავის სიცოცხლე. ღა თუ შემთხვევით ნახავთ, მაშინვე სწრაფად მოიგდეთ ორავე ხელში რაც იქ წერილება აწყავა, დახუჭეთ თვალები და არც ერთი სატყევა არ წაიკითხოთ, რომ დაივიწყებულია და ნაცნობმა წერილმა წარსული



როგორღე. რა თქმა უნდა, რომ მკვე-  
დლიშვილი და მისურადე დიდად შე-  
წუხდნენ და დიდი ბოდიშის შემდეგ  
შეიწვიეს ნუკრიანელები დუქანში;  
მკვედლიშვილმა ჩამოასხმევინა რამო-  
დენიმე სტაქანი არაქი, გაუმასპინძლდა  
ნუკრიანელებს და პირის-კოცნის შემ-  
დეგ შერიგებულები დაბრუნდნენ სახ-  
ლებში; მაგრამ ზოგიერთ ნუკრიანე-  
ლებს ეს მაინც გულში ჩაჩნათ.

თეიმურაზ მისურადემ გადაჰკიდა  
ცხენს სულადით სავსე ხურჯინი, მის-  
ცა ხელში თავის უფროსს შვილს კარ-  
გა მოჩინებულ მამალა მწესქვილი-  
სათვის და სრულებით უფიქრელად,  
უდარდელად გაემგზავრა ანაგის წის-  
ქვილებზედ პურის დასაფუქველად. ჩა-  
იარა თუ არა საბრალოდ ნუკრიანში,  
დანიხნეს იგი იქ მცხოვრებმა მლის-  
ბარაშვილებმა. მათი მათგანი ნიკო-  
ლოზ მლისბარაშვილი დიდის ჩომბა-  
ხით დაედევნა უკან (როგორც ამბო-  
ბენ ჩამოდენიმე სხვა ნუკრიანელები-  
თ), ჩაუსაფრდნენ გოგონის ტყე-  
მორეულ ლეღეში და როდესაც თეი-  
მურაზი თავის პატარა შვილით ჩაი-  
და ანაგის ხევში, აქ საცოდავს და-  
უწყეს ქვის შენა და რომ ქვებით მაგ-  
დენი ვერა დააკლეს-რა, შემოეხვიდნენ  
გარშემო დასაქერად. მაშინ მისურა-  
ძეს გაეძრო ხანჯალი და თურმე შე-  
საშინებლად იქნედა გარეშემო. ნიკო-  
ლოზ მლისბარაშვილს მარჯვენა ხელ-  
ში დაეკრა ჩომბახი და გაგდებინა  
ხელიდამ მისურადისათვის ხანჯალი.  
მისურადე გაჰქცეოდა, მაგრამ ბო-  
როტ-მოქმედთ დაეძახნათ: ნუ მირ-  
ბინარ, თორემ... შვილს მოგიკლამ-  
თო! მაშინ საცოდავი დაბრუნებუ-  
ლიყო და შეხვეწნოდა, «კაცებო, თუ  
ძრისტე გწამთ, ნუ მოკლავთ, ლა-  
რიბი წერილ-შვილი კაცი ვარო. მაგ-  
რამ იმათ არც კი მოესმინათ ახალ-  
გაზდა ჯერედ წუთი სოფლით გაუხა-  
რელი მისურადის ხევწინა-ვედრება,

არ მოგაგონოთ; შემდეგ სწრაფად  
ცეცხლში ჩაყარეთ ის დასალუბავი ქა-  
ლადები და როდესაც ნაცრად იქ-  
ცნენ, მაშინვე ქარს მიეცით... თუ  
არა და, თქვენც ისე დაიღუბებით...  
როგორც მე დავიღუპე ამ ერთი საა-  
თის წინადა!

პირველად წაკითხულმა წერილებმა  
სრულიად არ გამიღვიძეს ცნობის მო-  
ყვარება. ის წერილები გამოგზავ-  
ნილნი იყვნენ იმ პირთაგან, რომელ-  
ნიც ისევ ცოცხლები იყვნენ და რო-  
მელთა შეხვედრა მე არ მაწუხებდა.  
მაგრამ ერთმა კონვერტმა შემაშფო-  
თა. მსხვილი დაბლაჯნილი ასოებით  
იყო მასზედ ჩემი სახელი დაწერილი,  
თვალეში ჩემდა უნებურად ცრემლები  
მოამერია. ამას სწერდა ჩემი კარგი  
მეგობარი, ამხანაგი ჩემი სიყმაწვილი-  
სა, ჩემი საიდუმლოებისა; ის ცხოვ-  
ლად წარმოამიდგა თვალ-წინ თავისი  
კეთილი, ბავშვური ღიმილით, ჩემსკენ  
ხელებ-გაშლილი, რომ ტანში ჟრუან-  
ტელმა დამიარა.

«ღიალ, მკვდრები გვეცხადებიან, მე  
ნამდვილად ვნახე იგი! ჩვენი მესხი-  
რება უფრო განვითარებული ქვეყა-

არ შესცოდებოდათ მწარედ მოტირა-  
ლი თეიმურაზის ბავშვი და აეკუწნათ  
თავისივე ხანჯლით, ოთხი შვილის  
მამა და ახალ-გაზდა მშვენიერი ქალის  
ქმარი.

მკველლებს სდომებოდათ თავიანთ  
ბოროტ-მოქმედების კვალი დაემალოთ,  
ჩაეფლოთ იქვე ხევში და ზედ წაე-  
ყარნათ ქვა, მაგრამ მებაღეებს, რო-  
მელნიც მოციუნულიყვნენ ბავშვის  
ყვირილზედ, დაეძახნათ ნუკრიანელებ-  
ბისთვის: ეი, ნუკრიანელებო! აიტათ  
ეგ საცოდავი აქ ნუ მალავთ, თო-  
რემ... მისურადის სისხლით გამაძ-  
ლარს ნიკოლოზ მლისბარაშვილს გა-  
დაედო თეიმურაზი მხარზედ, მოეტა-  
ნა საბრალო ნუკრიანში და ზედ შა-  
რა გზაზედ დაედგო.

მალაროში ეს საშინელი და თავ-  
ზარ-დასაცემი ამბავი მოიტანა თეიმურა-  
ზის თერთმეტის წლის ბავშვმა, რო-  
მელიც ცხარის ცრემლებით იღველ-  
ფებოდა და ეხვეწებოდა მამასახლისს,  
რომ ეშველა და მკვდარი მაინც ამო-  
ეტანა მალაროში.

მერ წარმოიდგინეთ რამდენი შემბრა-  
ლებელი ჰქვანდა საცოდავს. მთელი  
მალაროს და თვით ნუკრიანის ვაჟკაც-  
ნი და ქალ-რძალნი მოსდევდნენ პატა-  
რა ცხენის ურემზედ დასვენებულს  
თეიმურაზს; თითქმის ერთ ვერსზედ  
იღვა გზის პირას მაყურებელი ხალხი.  
მივასვენეთ ეკლესიაში, მღვდლებმა  
აუგეს ანდერძი, მივიდნენ ნათესავები  
გამოსასალმებლად. მეც კირისუფლებ-  
თან წავდექი მკვდრის სანახავად. სი-  
ყრმიდგან აქამომდე მიტრიალნია გლე-  
ხებში და ჩემს სიცოცხლეში არ მი-  
ნახავს იმისთანა სიმშატიური, მეტყვე-  
ლი სახე გლეხისა! მოჰხადა დამ თავი-  
დამ ნაბდის ქუდი და გადმოეშალა  
მალალს, ფართო სპეტაკ შუბლზედ  
შავი თმა; დიდრონი თვალეები საუ-  
კუნოდ დახუჭოდა; მოგრძო, თეთრს,  
კეთილ-მობილურ სახეს შემოჰხვეოდა

ნაა, სინამ თვით ქვეყანა. იგი ანი-  
ქებს სიცოცხლეს მას, რაც აღარ არ-  
სებობს.

«ძანკალითა და ჰმუნვით წაეკითხე  
ყოველისფერი, რასაც კი მწერდა იგი,  
და ამ საწყალ დარდიან გულში ისე-  
თი ტკივილი ვიგრძენ, რომ კენესას  
მოეყოლოვ.

«მაშინ მე წარმომიდგა თვალ-წინ  
მთელი ჩემი წარსული ცხოვრება და  
მოგონებანი გამიცხოველდნენ. მე ამ  
წერილებმა მომაგონეს დიდის ხნიდამ  
დავიწყებული ხალხი, რომელთა სა-  
ხელიც დიდი ხანია გაჰქრნენ ჩემის მეხ-  
სიერებიდამ. მხოლოდ მათი სახე-ლა  
მიდგა თვალ-წინ.

«ღვი-ჩემის წერილის წაკითხვამ მო-  
მაგონა ყველა ჩვენი მოსამსახურეები,  
ჩვენი სახლი და ყოველივე ის, რა-  
საც კი ელტვის ბავშვის გონება.

«ღიალ, მე ხელ-ახლად მომაგონდა  
დელი ჩემის ძველი ტანისამოსი, რო-  
მელიც ეხლანდელი ფასონისანი აღარ  
იყვნენ და მისი თავის დაეარცხნა.  
სხადად წარმომიდგა დედა-ჩემი თავის  
ძველებური ჭრელი კაბით, მომაგონ-  
დნენ მისი ნათქვამი სიტყვები, როდ-

პატარა, შავი წვერი; განიერი მისი  
მხარ-ბეჭი ამტკიცებდა მისს მამაცობას  
და ვაჟკაცობას. თურმე ბუნების სიმ-  
შვენიერესთან საცოდავს სულიერი  
სიკეთეცა ჰქონდა. ჰველა იმის გულ-  
კეთილობას და ვაჟკაცობას ლაპარა-  
კობდა. ნუკრიანელები კი ამბობდნენ, —  
ვითომც მისურადე მარტო ნ. მლის,  
ბარაშვილს მოეკლას, მაგრამ რომელ  
გამოცდილ გამომძიებელს დააჯერე-  
ბენ, რომ ღონე-ვათქმულ, მკლავ-ლო-  
ნიერ, ბასრი ხანჯლით შეიარაღებულ  
კაცს, მოჰკლამდა მარტო ეილაც ბუ-  
ნებისაგან დაჩაგრული ნიკოლოზ მლის-  
ბარაშვილი. საქმე ეხლა გამომძიებ-  
ლის ხელშია. იმედი აქვთ მალაროე-  
ლებს ბატონი ბევესკი კეთილ-სინიდი-  
სინად გამოიძიებს საქმეს და ბოროტ-  
მოქმედთაგან როვანად დასჯის.

ქმ. სათაისისა.

წერილი რამაძობრთან

თქვენს პატივცემულ გაზეთის 130 №-ში  
ეს მეორედ წავიკითხეთ იმ წარმოდგენის  
შესახებ, რომელიც იყო გამართული ქა-  
ლაქ სიღნაღში წარსული წლის აპრილის  
28 „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-  
გადოების სასარგებლოდ“. მხოლოდ პირველ  
წერილში ჩვენ (პ. ნ. და მ. ან.) ვიყავით  
სცენის მოყვარეთაგანი და ეხლა დროების  
130 №-ში არ ვიცით რა მიზეზით გადავი-  
ქციეთ «ხაზინადრად»; ეს ვერაფრით მოსე-  
დია უკანასკნელი წერილის ავტორს, რომ  
ჯერ ჰქმნარიტი არ შეუტუვია, არ იცის  
როგორ არის საქმე და აქა-იქა მოგროვე-  
ბულ ამბებს კი ავრცელებს. მე იმ წარმოდ-  
გენაში განვლით მხოლოდ სცენის  
მოყვარეთაგანი; მე არც «ხაზინადრობა» მი-  
ვიყრია და არც ბილეთები ყოფილა ჩემს  
ხელში; მე მხოლოდ წარმოდგენის დროს,  
როგორც კი შემეძლო, ავასრულე ჩემი ვალი,  
გამოვბრუნდი და წამოვივლ. ახლა, რადგა-  
ნაც პატივცემულმა კორესპონდენტმა ჩემ-  
ზედ გამოილაშქრა, უმორჩილესად გთხოვთ,  
მისცეთ ადგილი ამ ორიოდ სიტყვას ერთ-

საც მას ეს კაბა ეცვა: «რობერტო,  
ჩემო შვილო, თუ რომ შენს ტანს  
სწორედ არ დაიჭერ, კუზიანი გამოხ-  
ვალ.»

«როდესაც მეორე უჯრა გავადე, მე  
შეგხვდი ჩემს საყვარელს მოგონებთა:  
საბალო ბათინკას, დახეულს ხელცა-  
ხოცს, თმებს და გამხმარს ყვავილებს.  
ჩემი ცხოვრების დამმეიდებულმა რო-  
მანებმა, მათმა გაჰლარაგებულმა გმირ-  
მა ქალებმა საშინელი სედა შემამა-  
წოლეს გულზედ.

«მე! ახალ-გაზდა ოქროს ფერ თმია-  
ნო ქალებო, რადა ღირს თქვენი  
ხელის მოჭერა, ნაზი ცქერა, გულის  
ძვრა, ის ღიმილი რომელიც ბედნი-  
ერებას უწერავს კაცს გულში, ის  
ტუჩები... და პირველი კოცნა! ის  
დაუბოლოებელი კოცნა, რომლისა-  
განაც თვალეები იბნიდებიან და ძვირ-  
ფასს ბედნიერებას ეძლევა კაცი.

«როდესაც ის წარსული ბედნიერება  
და აღერსი მოვიგონე, მე მივვარდი  
მათ გაცოფებული და კოცნა დაეუწყ-  
ე. მომაგონდა მათი განმორების წა-  
მები და საშინელი ჯოჯოხეთური  
ტანჯვა ვიგრძენ.

ერთ თქვენს გაზეთის №-ში სხენებულ წარ-  
მოდგენის შესახებ. აი ნამუცხვრად წარმო-  
არის საქმე: სხენებული წარმოდგენისთვის  
იყო დაკეთებული ბილეთები რიცხვით სულ  
ას ოცი; ოცი ბილეთი ორ მანათიანი; ოცი  
ბილეთი მანათ-ნახევრიანი; ორმოცდა-ათი  
ბილეთი მანათიანი და ოცდა-ათი ათ-შაურიანი.  
ეს ბილეთები აიღეს რამდენიმე პირმა და-  
სასყიდად იმ პირობით, რომ შემდეგ მათ  
ჩვენთვის ყველასთვის მოეცათ ანგარიში;  
ასე, რომ ამ საქმეში, საკუთრად ამორჩეული  
ხაზინადარი არავინ ყოფილა; ანგარიშის შემ-  
დეგ აღმოჩნდა, რომ სულ ბილეთები დარ-  
ჩომოდათ გასასყიდი 56 მანათისა. დანარ-  
ჩენი შვიდი თუმნისა და ცხრა მანათის ბი-  
ლეთები უნდა ყოფილიყო გაყიდული, მაგ-  
რამ ამ სუმიდგან მოიტანეს მარტო სამი  
თუმანი და ცხრა მანათი, რომელიც სრუ-  
ლიად მოუნდა თითონ სცენის საქმირობას;  
დანარჩენი ოთხი თუმნის შესახებ კიდევ;  
იმათი სიტყვით, ორი თუმანი და ათი შაური  
არის, ნისიად დარჩენილი სახლო პირებზედ;  
ცხრამეტი მანათის და ათი შაურის ბილეთ-  
ები კი აუღიათ თითონ მოთამაშე პირთ.  
აი როგორ არის საქმე. ახლა უმორჩილეს-  
სად ვთხოვთ იმ პირთ, რომელნიც არიან ამ  
საქმეში დამნაშავე, ეხლა მაინც წარმოად-  
გინონ სხენებული ფული, თორემ, ძალა-  
უნებურად, ამ მოკლეს ხანში, უნდა გამოც-  
ხადდეს მათი სახელი და გვარი „დროების“  
ფურცლებზედვე.

პ. საგვალავი.

ტელეგრაფები

„რდილოეთის სააგენტოსი“  
ავგისტოს 8-ს.

პრასნო სპლ. გუშინ, მანეგრა-  
ბას გათავების შედეგად, ხელმწიფე იმ-  
პერატორმა მიულოცა აქ თავ-მოყრნილ  
იუნკრებს სამხედრო სასწავლებლები-  
სას აფინანსების მიღება. აფინანსება  
მოჰყოდა 790 ჰანს. მას-უკან მათნი  
დადებულებანი შეჰკვიდრე გესარგეი-  
ჩათა და სასლავლობიურთ ჰეტერ-  
გოფში მიბმანდნენ.

ხარბოვი. აქ აბრძოლებს იწყება;  
ძვიდგალებს ბევრს მოკლან; ადებ-

«ღამრჩა უკანასკნელი წერილი. იგი  
ჩემის ხელით იყო დაწერილი, რომე-  
ლიც ჩემმა წერის მასწავლებელმა და-  
მაწერინა. აი ის წერილიც:

«ჩემო ძვირფასო დედავ!  
«ღღეს მე შეიდი წლისა გავხდი. მე  
ეხლა ისე დიდი ვარ, რომ შემძლიან  
მადლობა გადაგიხადო სიცოცხლის  
მონიჭებისათვის.

შენი პატივისმცემეჲი პეტრე შვილი  
რობერტი

«ღასრულდა. მე დავცალე სახე  
ფიალა და კიდევ გადახვდნე ჩემს და-  
ნარჩენ ღღეებს. სიბერე სისაძაგლე  
ყოფილა, და მეტადრე განმარტოებული  
სიბერე, — ყოველისფერი გათავდა, გა-  
თავდა! ჩემს ახლოს კი არავინ არის!

«აი, ჩემი დამბაჩა სტოლზედა ძვეს!  
ღამბაჩა ფეხზედ შევაყენე... არას  
ღროს არ ვადიკითხნოთ თქვენი ძველი  
წერილები.

«ამ ნაირად ბევრი ხალხი გამოცსა-  
მება სიცოცხლეს, რომლის შემ-  
დეგაც დაიწყებენ ხოლმე მიზეზე-  
ბის ძებნას, თუ თავის მოკლამდის  
რამ მიიყვანაო!

კლ. მიქულაშვილისა.



მიწეშას აგვისტოს 10-დამ შუადგე-  
ბან.

**ბომბი.** კოჩინის გომბიებელმა  
გასთავს გასინჯვას საქმისა ვადაც მან-  
გინისა, რამელიც რამდენიმე კვირის  
წინად დაატუსადეს, რადგან რუსის  
ჯანსუყისად შიადეს. დატუსადებულმა  
გერ წარუდგინა მოთხოვნა სთავ-  
დებო ფული და ამის გამო ნახევარი  
წლით ციხეში ჯდომას გადაწყვიტეს.

**ძანი.** აქედამ შირ-და-შირ ინგლის-  
ში დაბრუნდენ: არტილერიის ბატა-  
რეას, ინჟინერებს რატა, ქვეითი  
ჯარის სამი ბატალიონი და სამი ბა-  
ტალიონი გვარდიის ქვეითი ჯარისა.  
შოტლანდიის ქვეითი ჯარის ბატალი-  
ონი მალტაში გაიგზავნება.

გამართლდა ის ხმა, ვითამ აჯან-  
ყებულებს დაეჭირათ დეუბ და აბუ-  
დუსი. აჯანყებულები ახალ-დონგო-  
ლასკედ მიდინ.

აგვისტოს 9-ს.

**კამბრბურბი.** უუწმიდესის სინო-  
დის ობერ-პრეკურორი სამედიცინო  
კარედ მადის რამდენიმე ხნით.

**ენი-ნოვგოროდ.** მსუდულო-  
ბითა და რატყვას საქონლით კარგად  
დაიწვეს გაჭრობას; ხაშს მიტყვას მი-  
ღიან თხოვლობენ და 1/2 კაპეიკით  
მეტს იძლევიან, ვიდრე ივლისში იძ-  
ლეულენ; წინ-და-წინვე შიშობენ რიტ-  
ლებსკედ ბეგების ადებს; ყოველთა  
ხელთ-ნაქსოვება სრულიად გაიყდა;  
დიდი მოგაჭრებები ესლავე ყადულო-  
ბენ საქონელს, რადგან ვშინთან ფა-  
სებსა მომატებისა; ახლის ბაშა ჯერ  
ცოტა მოტანალი; სპანსეთის საქონ-  
ლით კარგად გაჭრობენ; ფულს დაურ-  
კოლები იძლევიან; საზოგადოდ,  
იმედი აქვთ, რომ იანჩარება შუათან-  
სე უკეთესი იქნება.

**მარსალი.** გუშინ აქ ხალხით 65  
კაცა მოკვდა. ხალხმა გაჩნდა ტუ-  
ლონიანც, მკვრამ აჩაგინ კა არ მოკვ-  
დარა.

**ბომბი** ივლისის 28 ქაბულში რი-  
სული ინგლისის ელჩი უადრესის პა-  
ტივისტეპით იქმნა მიღებულა.

„დროების“ ფოსტა

ნ. ლ—ს; მ—ელს ე—ნს; ზ—ს  
ს. დ—იას; მ. ჯ—ოვს; თქვენი ლექ-  
სები და წერილები არ დაიბეჭდება.

მ—სს ს—ნს. კრძალა ლაპარაკის გა-  
მო გასკითხვი პოლიციის ატყისა არ ივარ-  
ტებს.

ნ—ს დ. კ—ლს. თუ საბუთები  
არ გვექნება ხელში, ვერ დაუბეჭდავთ

«საკომენტარიო წერილისა» ავტორს.  
რას ჩაკვადივით!

ცნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-  
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-  
დახელ 1 მარიამობისთვიდამ 15 მა-  
რიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი შურა რუ-  
სეთის ფუჭილისა — — 1 გ. 5 კ.  
აქაურის ფუჭილისა: შირ-  
კელის ხარისხისა — — 1 გ. 2 1/2  
ქეორ. სს — — 1 გ. 2 კ.

აქვე ფუჭილისა თორნეში გამომ-  
ცხვარი:

შირველი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2  
ქეორისა — — 1 გ. 3 კ.  
ქესამისა — — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის შური:

შირველის ხარის ღავაში 1 გ. 4 1/2  
ქეორის ხარის. ღავაში 1 გ. 3 1/2  
ქესამისა — — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

შირველის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.  
ქეორისა — — 1 გ. 6 კ.  
სუკი — — 1 გ. 14 კ.  
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

შირველის ხარისხისა 1 გ.  
ქეორისა — — 1 — გ.

განცხადებანი

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავ-  
ლებლის ინსპექტორი ახსადებს

მუთათისის გუბერნიის და განსაკუთ-  
რებით მეგრელის თავად-აზნაურთა სა-  
ცნობლად, რომ 1885 წ. ენკენის-  
თვისათვის I განყოფილებაში ოც-და-  
ცამეტი ვაკანსია იქნება, II მეორეში—  
ორი (2), III მესამეში—(4) ოთხი და  
IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირ-  
ველ განყოფილებაში შემსუღელთ ეგ-  
ზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მე-  
სამისა და მეოთხისათვის განყოფილე-  
ბათა შესაფერი ეგზამენი უნდა დაი-  
ჭირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინს-  
პექტორის სახელზე აგვისტოს 20-დგან  
29-მდის და ამასთანავე წარმოადგი-  
ნონ წლოვანების და აზნაურობის  
მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმო-  
ბანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა  
მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის  
მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამ-  
ფუძნებელთა შორის ითვლება. სწავ-  
ლა პირველ ენკენისთვეს დაიწყება,  
თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრე-  
ბის გარდაწყვეტილებისამებრ, სასწა-  
ვლებელი მთელი გუბერნიის თავად-  
აზნაურთათვის არის დაფუძნებული  
და ვისთვისაც სახსროა, ყველას უფ-  
ლება აქვს ამ სასწავლებელში შვილი  
შემოიყვანოს. (10—3)

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX  
**შოქოლადი**  
ს. სიუ და კო.  
(II. 2542).  
(46—25)  
XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

არყის ხის ბალზამი

ლოპტორის ლეზილისა

საყვარელი სატულოვო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების  
ქალებისა.

აძლევს კანს სვეტაკს სითეთრეს, სპობს კორფოს, ფერიკამელას, ასუფ-  
თავებს მზისაგან გარუქლულს სახეს, ასწორებს მოღმეკილს ადგილებს და  
აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს.-პეტერბურგის სამედიცინო  
დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ  
შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კაპსიულებზედ ავსტრიულს გერბს  
არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არყის ხის ქვეშ-  
მყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ-  
წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! ფლა-  
კონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგ-  
ზენს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებში: მოსკოვში რ. პე-  
ლერთან და კომპ. პ. შერსინთან, გეზლინგთან, ბ. ბრუსთან, ლიუშერ-  
თან, ბირშველგინთან, მატეისენთან, ს.-პეტერბურგში სააფთიაქო საქონ-  
ლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, თბილ. სში სააფთიაქო საქონლით  
მოვაჭრე ქავკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

II. 12.233


(12—10)

სამკურნალო სამმართველო სეზა-დართული

ალვის ხე ანუ

ალვის ხის ბალზამი

მ. მ. პეტროვისა.



პირისხისათვის. № 1. ბაუმჯობესებული საშუალება, რომე-  
ლიც აქრობს ფერიკამელას, წითელს ლაქას, გარუქლავს, ლუ-  
ღუღებს; ამ საშუალების მხმარებელს პირისახე უსუფთავდება და  
ლამაზ ფერს იკვრს.

თავისთვის. № 2. ნამდვილად ასუფთავებს თავის კანს ქერტლისაგან,  
აგრილებს თავს, სპობს თავის ტკივილს, ამისათვის თმა აღარ ჩამოუვა. რად-  
განაც ამ წამალს ყალბსაც ეკეთებენ, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ნიშანს  
(მ. მ. პეტროვი.)

ფასი ფლაკონისა 1 ო. 25 კაპ. და 1/2 ფლაკონი 75 კაპ.,

ჟომარება საწყობ: აფთიაქებშია და მოსკოვის-სააფთიაქო ყველა მა-  
ღაზიებში.

ასყიდება რუსეთის და სამხლვარ გარეთელ აფთიაქებში და ყველა საა-  
ფთიაქო და სხვა მაღაზიებში.

ვინც ბლომად იყიდის მას % დაეთმობა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ უმთავრეს საწყობში:

მოსკოვი, ნიკიტის აფთიაქა პეტროვისა, წინად კელკარისა. ფოსტით  
3 მ. და 50 კაპ. ორს ფლაკონზედ ნაკლები არ გაიგზავნება.

II. 14120

(10—5)

ი. ა. ფორბეჯის და დ. ს. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში) დ. სარაჯოვის სახლებში სა-  
სახლის ქუჩაზედ).

ისქიდება

დაწმენდილი კურის არაქი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და  
სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის აღრესით უნდა დაი-  
ბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Пора-  
кова и Д. Сараджева.

(20—8)

ბათუმს, 9 კათათვეს რკინის-გზის  
სტანციის ფოვზალზე

დაკვარვე

ბუმაქნიკი ფულით 35 მანათი, «სხო-  
ტები», ბარათები, ექსილები და ბაშ-  
ფორთი. მპონელს ესთხოვ ფული

აილოს თავის სასარგებლოდ და  
დანარჩენი დამბრუნოს ბათუმში ჩემს  
ჩაის მაღაზიაში მრევანსკის (მეიდანზედ)  
პლოშადზედ, გოროდლოვი პრავლე-  
ნიის (ქალაქის გამგეობის) ქვეშ.  
თბილისის გაჭარი  
(3—2) გრივალ ალაბუგოვი.